



საქართველოს მთავრობის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N1648 2023 წლის 15 სექტემბერი ქ. თბილისი

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარების
ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 13 სექტემბრის № 08-03/72321 წერილით წარმოდგენილი დასაბუთებული წინადადების საფუძველზე, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 17¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარების ვალდებულებისაგან.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი



**ფინანსთა
მინისტრი**

13 სექტემბერი 2023

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge



N 08-03/72321

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტსა და „რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარების ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ“ და „მ.ზარათაშვილის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ კანონპროექტზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულებების პროექტებს.


ამასთან, მოგახსენებთ, რომ კანონპროექტის მიღებით მარტივდება გადასახადების ადმინისტრირება, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის დღეს მოქმედი ნორმები შესაბამისობაში მოდის „საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის ნომენკლატურის 2022 წლის რედაქციასთან. ამასთანავე, აღმოიფხვრება რედაქციული და ტექნიკური ხასიათის ხარვეზები და გარკვეული დებულებები შესაბამისობაში მოვა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონთან. შესაბამისად, გაუმართლებელია ხსენებული კანონპროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის დაყოვნება და მოგმართავთ წინადადებით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულის კანონის 17¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის N35 დადგენილებით დამტკიცებული „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

განთავისუფლდეს წარმოდგენილ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარების ვალდებულებისაგან.

დანართი: 43 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი



მინისტრი